

თეატრი

1889 წ. № 50 დეკემბრის 28.

ქართული საკვირთო გაზეთი

თეატრი

მომავალ 1890 წლის იანვრიდან გამოვა კვირაში ერთხელ ახალის თანამშრომლების მონაწილეობით. რედაქცია ყოველს ლონისძიებას იხმარს, რომ გაზეთი გააუჩურობეს და საზოგადოების ნდობა-ყურადღება დაიმსახუროს.


რედაქციაში მუდმივ მონაწილეობას მიიღებს. თ. ჯაკვი წერეთელიც. გაზეთის გარდა, რომელიც თავ-თავის დროზედ აუცილებლად გამოვა, ხელის მომწერლებს დაურიგდებთ უფასოდ ექვსიდან ოთხმეტამდე ახალი წიგნი ანუ სურათი.

გაზეთის ფასი წელიწადში 5 მან., ნახევარ წლოვით 3 მან., ვისაც წლის ფულის წინაღვე შემოტანა არ ეხერხება, შეუძლიან 3 მან. ეხლა წარმოადგინოს და 2 მან. პირველ მარტსა. სოფლის მასწავლებელთ და არტისტებს გაზეთი დაეთმობათ 3 მანათად.

ხელის მოწერა მიიღება „თეატრის“ კანტორაში ქ. თბილისში სასახლის ქუჩაზედ, სახანაურო ბანკის თეატრის ქვეშ.

ბგენებზე და განყოფილებანი «თეატრის» კანტორისა: ბორში — ბ. ნი სოფრამ მგაღობიშვილი და ილ. ნატროვი; მუთაისში — წიგნის მძღაზიები ბ. პ. ჭილაძის და წერეთლისა; ბათუმში — მოსკ. ნათაქ; სენაკში — სამსახ. ყიფიანი. სხვათა სახელი გამოტსადდება.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ контору газеты „ТЕАТРЪ“.



საქართველოს ისტორიის მასალები

ბუტკოვის წიგნიდამ

(Материалы для новой истории Кавказа съ 1722 по 1803 г.)

(დასასრული *)

ამის გულისთვის 1741 წელსა ნადირი თავისი ჯარებით და-
იმისა უზბინიდაძე კაკვასიის მთებისაკენ.

ამბობენ, რომ მიზუნათ ამ კაკვასიის ხალხების დამორჩი-
ლებას იღებდა, მაგრამ სსვა უფრო დიდი და დრმა განძრასვა ქქონ-
და შაქს ნადირსაო ამ რუსის სამღვრების დაახლოვებითაო: იმის
გულში ედო რუსეთში შესეგნაო.

ნადირმა ასი ათას კაცსედ მეტო მოაყენა დაღესტანსა. 1743 წ.
იანვრიდამვე იწყო მზადება რუსეთთან საომრად. უოკულ დღე ას-
წაელიდა ჯარს არტილერიის იარ.ღის სმარებას და სეჭესა. ამ
სეჭემს ასწავლიდა იმის ჯარებს იმ ხანად იმის ჯარში შესული
ქართული ზაალ ბარათაშვილი, რომელიც წინედ რუსეთში ასლდა
თან ბაქარ ბატონიშვილს, მეუის ვახტანგის შვილს. ესევე ასწავ-
ლიდა ეუმბარების ჩამოსსმას და მომზადებას.

რაკი ნადირი ემზადებოდა საომრად რუსეთზედ, რუსებმაც
დაღესტნელებს გამოუგზავნეს ფული, და იმათ წინამძღოლებს და
მთავრებს დაუნიშნეს ჯამაგირები, რომ უფრო გაეწიათ ნადირის-
თვის წინააღმდეგობა.

იმ ხანებში მოუვიდა ნადირს ცნობა სპარსეთიდან ჯერ შირ-
ველი ისა, რომ ოსმალები ქკრებამერ სპარსეთის სამზღვარზედ:
არსუმსა, ბაღდადსა და უარსში ჯარებსა, რომ შესეოდნენ სპარ-
სეთს; მეორეც ისა, რომ ასლად დამორჩილებული სიკელები და
ბუნარელები აეშაღნენ, განსწვიტეს ეველ ნადირისაგან გაშეებული

*) იხილე თეატრისა № 48, 49.

მეცნიერნი და სხვა ჯარები და აპირებენ სპარსეთში შესვენასა. ამისთან ორდა ახი ათასი ტრუსიქნი ეშინადებოან, რომ რუსებს თავი დაუკრან და გადაუდგინენ მასაო.

მაჰი იმუღბული განდა დაბრუნებულყო სპარსეთში და კელაჩ რუსეთს გამოეგნა და ომი და კურც დაღესტანი დანიმონიდა, რომელსაც ეომა მთელი ორა წელიწადი.

აქ დაიწყო დიდი მზადება ოსმალებზედ სსომრად და განიძრახს სტამბოლის აღება და სულთანის (სოთქარის) ტასტზედ ასვლა; თავის შვილს უპირებდა შაჰად დაუენებას სპარსეთში; შემდგომ რუსეთზედ ორსავ მსროვ დასხმას.

თუმიცა ოსმალთ დიდი მზადება ჰქონდათ, მაგრამ გათავდა იმითი, რომ იმათ მონდომეს ქართლის დაპყრობა. ოსმალთ დაიჭირეს რუისი და სპარსელებს ეჭირათ გორი. ოსმალებმა გაჭგზაკენს ხაზინა დაღესტანში ჯარების საქირაგებლად. ეს რომ კახთა მეფე თეიმურაზმა გაიგო, უბრძანა თავის შვილს ირაკლის, რომ მოეშალა ეს საქმე. ირაკლიმ შეჭყარა ჯარი, დაუხვდა ოსმალთ არაგვედ, დამარცხა დიდათ, გაჭყანტა ერთიანთ მთელი ჯარი და წააწვა დიდათ აი ხაზინა. მაშინ, 1744 წელს მისცა თეიმურაზს ქართლი და ირაკლის კახეთი სამეფოდ. ნადირმა მისცა თეიმურაზს ნება, რომ კურთხეულიყო მცხეთას მეფეთა და ამ კურთხევაზედ თვითონაც გაუგზავნა პატრიარქ და დასწრებათ თავისი პირველი დიდებულნი. საქართველოში ჩვეულება იყო ძველსდევ რომ ორცა მეფენი გვირგვინს იკურთხებენ მარონსაც მაშინ იცხებენ.

ნადირი ისრეთი პატრივით ეპყრობოდა ქართველთ მეფეთა, რომ გამოიყვანა აჭაყალადამ ხანი. ამ აჭაყალაში იყენენ დასასვლებული თათრები იაკუბ შაჰს აქეთ, ესე იგი 1480 წელს აქეთ, და ამ თათრებზედ იყო დაუენებული ხანი. ამ თათრებსა და ამათს ხანს უნდა ედვენებინათ ყური ქართველთ მეფეების გცევისთვის. ეს თათრები ჩაბარა ანლა თვითონ თეიმურაზს. თორმეტი ათასი კომლი თათარი-ვი გადაასახლა სპარსეთში. ნადირის სიკვდილის უკან ბეკრს ამ გადასახლებულ თათართანს უნდოდა ისევე საქარ-

თველში დაბრუნება, მაგრამ კერძო მოახერხეს და გაიფანტნენ სხარესეთში.

ამ ხანათ იყო გაძლიერებული მოკლეს ქართლში გივი ამილახვარი. ის იყო მომხრე და ერთგული ვახტანგ მეფის შთამომავლები, რომელიც იმ დროს იმყოფებოდა რუსეთში. ეს ამილახვარი ითვლებოდა ბატონიშვილ ბაქარის მოადგილედ. ამის გამო გივი ამილახვარი ეწინააღმდეგებოდა თეიმურაზ მეფეს და არ ანებებდა ქართლის დაპყრობას. ამის გულისთვის გივი ეჭირა ოსმალების მხარე და სურამის ციხე ჰქონდა გამაგრებული ოსმალებისთვის. თეიმურაზმა ეს ციხე რაოდენადმე დაარღვია ნაღმით.

სსკვები (ბუტყავის სიტყვით) ამ ამბავს ასე ლაპარაკობენ.

როდესაც ნადირ შაჰი იბრძოდა დაღესტანში და ქართლს განაგებდნენ დაეწინაურებულ ხანებში, ამ ხანებში ვახუთის მეფეთ იყდა თეიმურაზ. თეიმურაზის ცოლი თამარ, ვახტანგ მეფის ქალი, მოვიდა ქართლში და დაიყოლია პირველი წარჩინებული თავადნი, რომ იმას ჰქონოდა ქართლის გამგებლობა, მინამ რუსეთიდან დაბრუნდებოდნენ იმისი ძმები. ამასთან პირიქით უდებდა ამ თავადებს, რომ არც თეიმურაზ და არც იმისი შვილი ირაკლი არ გვერდობდნენ არაფერს ქართლის საქმეში.

რაც ამის ნება აიღო თამარმა, ის წავიდა ისპანს (?) და აიღო შახისგან ნება, რომ მისწეროს შახის სახელით თავის ძმებს, რომ გადმოვიდნენ ქართლში, მოეპატრონონ ქართლს, იმეფონ, როგორც აქამდის უმეფნათ, და ეჭარათ და იდგნენ თავის საწმინდოებასად, რომელსაც ვერაინ ვერ შეატყუებინებს, თუ თვითონ არ ინდობენ. მინა იმისი გადმოვიდოდნენ, შაჰმა ნება მისცა, რომ ქართლის განმგებლად თვითონ თამარ დაწინადაცა. თამარ იყო ქართლის განმგებლად ერთი წელიწადი.

თეიმურაზს დიდად უნდოდა ქართლის დაპყრობა. ყველაზედ გაძლიერებული მამინ ქართლში იუვენ თავადები გივი ამილახვარი და იმისი ძმა დიმიტრი სხვათ თავადებთან შორის. ესენი იყ-

ნენ ერთგულნი შეეუ ვასტანგის სასლახობისა. თეიმურაზს უნდოდა მათი დახოცვა, მაგრამ, ვერ მოახერხა. ამან ააღვედვა ამილახურები. ისინი აიძალენენ, შეჭყარეს ჯარი და თბილის გარდა მთელი ქართლი დაიჭირეს სელში, მისწერეს ვასტანგ შეუვის შეილებს, რომ დაბრუნებულიყვნენ ქართლში. ბაქარ ბატონიშვილი იყო მამის უიზლარში, მაგრამ არა ჩანს მიზეზი, რატომ არ გადამოვიდა საქართველში. მანცა და მანც რუსეთში გივი ამილახური იყო მიღებული ბაქარის მოადგილეთ ქართლში.

თეიმურაზმა სთხოვა ნადირს მოხმარება ქართლის დასამშვიდებლად. ამილახურებმა მოიყვანეს დასახმარებლათ ოსმალინი.

ოსმალებმა დაიჭირეს რუისი, სპარსელებმა გორი, ოსმალებმა გუგუზენეს დაღესტანში იუული ლეკების მოსაყვანად. ირაკლი დაუსკდა ამ გუგუზენილთ გუაში არატგუედ, დაამარცხა ისინი და ხაზინაც წაართვა.

რათან ძალათ ვერ გააწეეს რა ამილახურებთან, რომლებიც გამეგრდნენ სურამში და ინახადნენ ამ ციხეს ოსმალებისთვის, თუმცა თეიმურაზმა რადენათმე გატენა სურამი, ამისგამო ნადირ შაჰმა მანდო თავის სარდალს, რომ იმას შეერიკებინა თეიმურაზ და ამილახურები იმ პირობით, რომ თეიმურაზ იმათსას ვერაფერს შეჭნებოდა. როდესაც ამისი ფიცი მისცა თამარ დედოფალმა, თეიმურაზის ცოლმა, ამილახურებსა, მამინ ამილახურებმა დაუბრუნეს თამარს ქართლში დაჭერილი ადგილები. ეს ამილახურები იყვნენ თამარის ძახლახუელი ნათესავეები (внучатные братья)¹⁾ ეს მოხდა 1741—1742 წელს.²⁾ თამარ დარჩა სრულს ქართლის განგებლათ.

ორი თვის უკან გივი ამილახური შეიბურეს და გაჭვიჩენეს შაჰთან. როდესაც ის მიჭვივადათ სპარსეთში, გუაზედ შემოჭვივდა

1) იე ვერ გადავითარტმენ ეს ქართულად, რადგან ვერც რუსულად და ვერც ქართულად ვერ მივხვდი, რა ნათესაობა внучатные братья.

2) შენიშვნა: ეს უფრო უნდა გოფილიყო 1744-1745 წ.

მანჟე ქსნის ერისთავა, რომელიც წინაჲ შეპყრობილი გაჭგზავნეს შაჰთან და რომელსაც შაჰმა დასთხარა თჳსუბი.¹⁾

გივი ამილახვარი დარჩა სპარსეთს შატირებაში მთელი წელიწადი, მინამ არ მოკვდა თამარ ჯეღოფალი, რომელმაც სიკვდილის დროს დაიყოლია ქართლის თავადები, რომ მეფედ ქართლისა დაესვათ იმისი ქმარი თეიმურაზ. მით უფრო დაჭყენენ ქართული თავადები თამარს ნებასა, რომ თეიმურაზ იყო ძალიან კეთილი გულის კაცი.

მაგრამ, რადგანაც თეიმურაზმა თავისი ცოლი თამარ იგლოვა მხოლოდ ორმოცი დღე და მეორმოცე დღეს შეირთო ცოლად ტირიშვილისი ქვრივი ნადირმა ეს ძალიან იწყენა, რომ არ იგლოვა დაწესებულს ხანსა. მით უფრო იწყენა ეს შაჰმა, რომ იმან ქართლი მისცა თამარსა და არა თეიმურაზს.

რაკი ამ ხანებში ნადირი ძალიან ანგაჩი და სარბი გახდა, ის ყოველს მიზუზს ეკებდა, რემ თავისი ხაზინა გაემდიდრებისა ხეჭით და გლეჯით. ცოლი აგრე მალე რათ შეირთო, ნადირმა მოუღო თეიმურაზს მიზუზად და დაწერა ორი მილიონი აზბაგი, ესე იგი სარჯი, რომელსაც სპა. სეთის შაჰები სასჯელათ ადებდენ იმ ქვეშევრდომთა, რომლებსუდაც თავის რისხვას მოიღებდენ. ²⁾ გივი ამილახვარი გაანთავისუფლდა და მისცა ოცდაათმეტი ათასი კაცი ჯარი ქართლში წასაყვანათ, რომ იმას შეეპურა ორჯული და

¹⁾ შაჰ-ნადირმა მისცა ქართლი თეიმურაზს და კახეთი ირაკლის 1744წ. მაგრამ თბილისის ციხეში დარჩა სპარსეთის ხანი დურახან მეცხოვრნეთა უროსი და ამასთან განჯას იყო დაეხეზული ხ ნი ნადირ-ყველთული ალი ხანი, რომელსაც უნდა ედევნებინა ქარილ-კახეთის მფუეებისთვის თვალი.

ქართლში იყო დარჩენილი კიდევ ერთი შვილი მეფის იასესი აბდულა მეზი, რომელიც თეიმურაზმა დაიყენა სომხ თის განმკეთა.

²⁾ დავით ბატონიშვილი ამბობს, რომ ნახევარ მილიონით. ამავე დროს მოითხოვა საქართველოდამ თავის კარის სამსახურისთვის ხუთასი ყმაწვილი შვილები ღირსეულთა კაცთა (Старшинскихъ дѣтей). ქართველები გაცვიდნენ მათში.

თეიმურაზი და გამოეგზაენა სპარსეთში, და თვითონ გამხდარიყო სამეფოს განმგებელი. მაგრამ მოკლე ხანში 1747 წ. მოჭკლეს თვით ნადირიც მამადის მახლობლად. ამილახვარი დარჩა სპარსეთში და შევიდა ადილ-შაჰის სამსახურში. ადილ შაჰი იყო სიძე თეიმურაზისა. თეიმურაზ ჩამოვიდა ადილ შაჰთან და ადილ შაჰმა დაუმტკიცა ქართლის მეფობა.

8

დამდეგ 1745 წლისა კვლად იწურო აჩუქელობა. ნადირი ესლს შეატანა გავკასიის მთის ხალხების დამოკრიფებას. იმან გამხდრა შაქელეზუდ, სადაც მთავრობდა აჯი-ჯალაბ-ხანი.¹⁾

მაგრამ აქაც კიდევ გავკასიის ხალხებთან ვერას გავდა და დაბრუნბული აქედამ, კინაღამ თითონ მთლათ თავის ჯარებით დანთქა, მინამ გავიდოდა მტკვარსა.

ლამე 7-დამ 8 ივნისს ღამე 1747 წელსა მოჭკლეს ნადირი. იმან დაწერა თავის ქვეყნებს დიდი ხარჯი და ამ ხარჯის ასაკრებათ აუენებდა ხალხებს დიდს სატანჯველს და აწამებდა კიდევ. ბოლოს ხანებში თითქმის ტნობაც დაჭკარვა. მეტის-მეტმა გერცხლის მოყვარეობამ სრულიად მიიზიდა ნადირი. ამისმა ტანჯვამ გამოიყვანა ხალხი მოთმინებამ. მოახდინეს შეთქმულება და მოჭკლეს. ამისი მკვლელები იყვნენ: ერევნის მაჰმად-ხანი, უსიმიისა მუსაბეგი, ქონდოხლოს სოჯა და აკმარისა მედელი-ყული-ხანი.²⁾

¹⁾ დაუთო ბატონიშვილის სიტყვით ის მოჰკლა: მაჰმად-ხან ყაფარმა, რომელიც იყო ერევნელი და რომელიც მოგზავნილი იყო მეველლად ალი-ყული-ხანისაგან.

ამილახვრის სიტყვით: ის მოჭკლეს ღამის მცველთა, რომელნიც იყვნენ ადილ-შაჰირისგან (ალი-ყული-ხანისგან) დარიგებულნი.

მეველინის სიტყვით, ის მოჭკლა სალო-ბეგმა, შაჰის მცველების მეფე-როსემ.

²⁾ შაჰის ხანა, სადაც პირველი ადგილი არის ნუზა, წინადა იყო შამანიის ხანების მორჩილებაში, მას შემდგომ, რაც ის ჩამოერთვა კანეთს

როდესაც ნადირი სიკვდილის წინა-სახეში მეტი სარჯით
აკეწრებდა და სტანჯავდა თავის ხელქვეითს ხალხებსა, ქართვე-
ლებსაც დაბლა ნასვეარი მიდიოხნი (ამილანხვრის სიტყვით ორი მი-
ლიონი) მანათი.

თეიმურაზი ჰქნადა, რომ ეს სულ გაატყავებდა ხალხსა და
ამის გულისთვის წავიდა სპარსეთს, რომ შეებრალეებინა ნა-
დირ-შაჰისთვის ქვეყანა და ეპატოკებინა ეს სარჯი. თეიმურაზს
გზაში დასვდა ამაყი, რომ ნადირი მოჰკლესო. თეიმურაზ მაინც
არ დაბრუნდა და უფრო სამოკურებით წავიდა შაჰთან, რაკი იცოდა,
რომ ნადირის ხელგას სპარსეთს შაჰთან უხდა დამჯდარიყო ნადირის
მმისწული, აღი-ყული ხან სიმე თეიმურაზისა და ნადირის მოკვლის
მოთავე. ამ აღიყული ხანმა მამადში მიიღო შაჰობის დროს ს სე-
ლი აღილი, ესე იგი, სამართლის-მოყვარე.

ადილ-შაჰმა განათავისუფლა საქართველო ნადირისგან დადუ-
ბული სარჯისაგან. ადილ-შაჰს, რაკი ქართველთ მეფის ქალი ჰქუდა
ცოლათა, ამის გამო ქართველები მადიან უყვარდა. მეფე თეიმუ-
რაზს ახუჯა ადილ-შაჰმა ოქროს ბადა ბრლიანტებით შემკული,
რომელიც ნადირ-შაჰს აჩუქა ინჯოეთის დიდმა მფლოდმა. გივი ამი-
ლანხვრის უწყალობა ყუღარადაზობა, ესე იგი თაობა შაჰის მს-
ლებელ ვარებსა (გვარდიის) და უწოდა სასულად შაჰ-ყული-ხან,
ამისთან უბოძა მვირთქისა სმელი.

როდესაც თეიმურაზ ბმეოთკობდა სპარსეთში და ქართლსა
და კახეთს განაგებდა მეფე ირაკლი, ქელიჯული აღიხანი, რომელიც
ნადირ-შაჰის დროს იყო საქართველოში ქართლ-კახეთის მეთავლ-

1643 წელსა. ამას ჰმართავდნენ მელქები ანუ თავადები. ვინმე ადრ-ჯალაბში
სომხების ლუდლის შეღობა, შეკვირბა ხალხის სროვა, გნდევნა ამ ქვეყნი-
დამ ავაზაკი და დაიჭირა შაჰი ნუხიფურთა და განდა თვითონ მოავრად
და იწოდა ხანობა. იმისმა შთამომავლობამ დაიმკვიდრა ხანობა. ადრ-ჯალაბს
ჰყავს შვილი აფი-ხანი.

გულდენსტეტის სიტყვით: აფი ჯალაბი იყო დაბალი ხალხი დამ გა-
მოსელი. და შაჰ-ნადირის დროს იშობნა ხანობა და დაიპრა შაჰი. შვილი
იმისი ჰუსეინ-ხანი 1773 წელსა იყო კიდევ ხანათა.



ეურეთ დაუენებული და მასუკან სცსაურობდა განჯაში, ჩაიგდო ერთი გაჭსუებული კაცი ხელში და, ნადირ შაჰის სიკვდილის შემდეგომ, გამოაცხადა, რომ ეს არისო მის შაჰ-თამაზისა, ამან შეკრიბა ჯარი, გაიძღვლა ეს წინ და მიადგა თბილისსა. აქ დაუწყო იმან სვეწხა მეფე ირაკლის, რომ დაეჭირა იმისი ძმარე. რადი ირაკლიმ იცოდა იმათი სიცრუე, შეჭკრიბა ჯარი, დაესხა თავსა, დამარცხა და გარკვა საქართველოდამ.

როდესაც იბრაჰიმ ხანმა ადილ-შაჰის ძმამ და ამირ-ასლან ხანმა, ნადირ-შაჰის ბიძაშვილმა გადახედეს და მოკლეს ადილ-შაჰი, დურახანნი, რომელიც სპარსელების მეცისოვნების თავად იყო დაუენებული ნადირ-შაჰისაგან თბილისში, შეეთქვა ქართლის მეფის იესეს შვილს აბდულ-ბეგს, რომელიც თეიმურაზ მეფისაგან იყო დაუენებული სომხეთის განგებლად და მისწერა ამირ-ასლან-ხანს, რომელიც ამ დროს შუშას ადგა ჯარითა, რომ იმას მოეშუებინა ამითუის ჯარი მეფის ირაკლის გადასაცემათ და აღუთქვამდა, რომ ქართლს ამას დაუმონებდა. ამირ-ასლან-ხანმა მიასუელა ამათ ჯარი თბილისის ასაღებათ. მეფე ირაკლი დაუსუდა ამათ თავისი ჯრით, დაამარცხა ესენი სრულიად, გაფანტა ჯარი ამათი და განდუნა საქართველოდამ.

ამ ხანებში ყარაბაღის ანუ შუშის ხანი ფენა-ხან ჯუჯანშირი შეთქვა განუის შაჰერდი-ხანს, შაჰის-ხანს აჟა ჯალაბს, ქაბაღის ხანს აღა-მულანს, ყაუზის ხანს საფარ-აღის და შამახის ხანს მამედაღის, რომ დასსმოღინენ საქარაიკელს და აეფსრებინათ. ამათ იგრეთვე მოამსრეს დიდძალი ლეკის ჯარიცა. ეს მოხდა 1749 წელსა. ერკინელებმა ეს შეთქმულობა აცნობის მეფე ირაკლის და გააბრთხილებს. მეფე მოემსადა ამ დროს შეატყობინეს, რომ ლეკები მარტყოფს დაეცნენ და აიკლესო. მეფე გამოეკიდა ლეკებს, დაამარცხა და დააფრკინა ყველა ნაშოვარი. როდესაც მეფე ირაკლისაგან ლეკები გარბოდნენ, ამ დროს იორის პირის ერთი გლდე ჩამოწვა და სუთასი ლეკი ცხენოხანი დაიტანა — გადაჩენილს ლეკებს დასუდათ გზათ თარში ლეკისა, ესენი შუეკრთდნენ ერმანეროს და დაეცნენ მეფე ირაკლის, რომელიც ამ

დროს იდგა დედოფლის წყაროზედ. მაგრამ აქაც კიდევ დაამარცხა მეფე ირაკლიმ. აქედამ ირაკლი დაბრუნდა თბილისს და აიღო თბილისის ციხე, რომელიც მანამ სპარსელებს ეჭურა.

ამის შემდგომ იმ ხანებს, რომელნიც შეითქენ ქართველებზე, მოუვიდათ ერთმანეთთან ჩხუბი და თვითონვე ერთმანეთს მიესივნენ: ურახაღის ხანი შემოეპრტვა განჯას და ემუქრებოდა ერევანსაც.

1749 წელს აკვისტოს თვეში განჯისა და ერევნის ხანები, იქაური ხომსების სიტყვით, მივიდნენ და სთხოვეს მეფე თეიმურაზს, რომ ის ჯარებით დაესმარებოდა იმათ და დაეღსნა ისინი შინაური არეულობისგან და ესენა-ხანის სიმძლავრისგან. ამ შველისთვის ამ ხანებმა აღუთქვეს წელიწადში სუთას-სუთასი თუმანი ხარჯი თეიმურაზსა (ეს ხარჯი ბოლოს რთსი ათას თუმნად იქცა). თეიმურაზმა შეჰქარა ჯარი და წავიდა იმათ მისაშველებლად. დაამარცხა და განდევნა აქედამ ურახაღის ხანი ფენა-ხან და დაამშვიდა ქვეყნები.

1750 წელს თორმეტი ათასი კაცით მეფენი თეიმურაზ და ირაკლი მიეშველნენ განჯას, რომელსაც ერტვა მამად თარაქმის ხანი, დაამარცხეს ბარდასთან და გაანთავისუფლეს განჯა. ამაკვე წელს შეეკრა მეფე თეიმურაზ შაჰის ხანს აქა-ჯალაბს და გაიმხედრეს ორთავ ჭარულებზედ. აქ აქა-ჯალაბმა უღელტა თეიმურაზს, მოიმხრო აქა-ჯალაბმა დაღესტნელები, მიუდგა ჭარულებს და დაამარცხეს თეიმურაზ.

9

ამ ხანებში გამოჩნდა, იბრაჰიმ შაჰის სიკვდილის შემდგომ სპარსეთში აზოთ-ხან ავლანელი. აზატ-ხანი ემსახურებოდა ჩადირ-შაჰის ჯარში თავისი ჯარებით, და ჯარი ამასა ჰყავდა კარგა ბლომად. ის თავისი ჯარებით იდგა ადერბაჯანში საქართველოს მხლოლობად. რაკი ამ დროს დიდი არეულობა იყო სპარსეთში, აზატ ხანმა ისარგებლა ამ არეულობით, გაუძღვა თავის ავლანთა და უსბუგთა, დაიჭირა თარაზი, და თარაზის ხანი ფეთ ალი-ხანი შე-

იუგანა თავის სამსახურში; დაიწინა გერეთვე აღმასი, რუმი, სოი და შემოერტყა ერეკანს ოცდა ათი-ათასი ვაგით 1751 წელსა. ერეკელემა სთხოვეს შემწეობა თეიმურაზს. თეიმურაზმა მცირე ოდენი ჯარით მიამკვლავა იმათ თავისი შვილი ირაკლი. ირაკლიმ განდევნა ერეკნიდამ ახატ სანი. ახატ-სან მით უფრო იძულებულ იყო გასცლოდა ირაკლის, რომ მას სხვა მტრებიც ემუქროდნენ. როგორც უნდა ვგონებდეთ, ირაკლი და ახატ-სანი შერგდნენ: ეს მიტომ არის საფიქრებელი, რომ ამის შემდგომ ახატ-სანის ჯარში ორასამდის ქართველი იყო და სხვათა შორის ორი თავადი წააღ ბეგი (წააღ?) და ასლან ბეგი (გვარები არა სწინს ამათი).

რადგან ცუდი შინაგანი არეულობა იყო ამ ხანებში სპარსეთში და შაჰი არ იყდა, ამისგან მომეფე ირაკლიმ გამოუჩნდა: შაჰისა, შირვანისა (შამახისა), განჯისა და ქაახლის ხანთა, რომ რადგან ირაკლი არის ვალი (შაჰის მოადგილე) გურჯისტანისა, კისრულაბს, რომ აღადგინოს სპარსეთში წესიერება და კისრულაბს სპარსეთის დამშვიდებას და შაჰის არჩევას. მაგრამ ეს ხანები მიუხვდნენ ირაკლის განზრახვას და იცოდნენ, რომ ირაკლის უნდოდა ესარგებლა ამ არეულობით და თვითონ ჩაკედო ყველას სულში. ამის გამო, არამც თუ უაზრი უთხრეს, შირ იქით წინააღმდეგნი გაუხდნენ.

ამ გვარად, 1752 წელს გადუდგა მეფე თეიმურაზს განჯის შვერდი ხანი და აღარ მისცა ხარჯი, რომელსაც აქამდის ყოველ წელს აძლევდა. მეფე თეიმურაზ და ირაკლი წავიდნენ განჯასულ. განჯას სანმა მოიმხრო შაჰის ხანი აჯი-ჯალაბი, რომელმაც თან მოიყვანა შაჰისა, შირვანისა და ლეკის ჯარი. ამაკე დროს უდალატეს თეიმურაზს ერეკელთა და ამის წყალობით 12 აპრილს 1752 წელსა თეიმურაზ იძლია განჯასთან.

აჯი-ჯალაბის სიკვდილით თუმცა შეხუენა იმისი გამარჯვებანი და დაწეობილებანი, მაგრამ იმისმა შვილმა აღა-ქიშიმ არ დაიშალა მამას საქმენი. იმან შეჭვადა დაღესტნისა, შირვანისა, დარუბანდისა და განჯის ჯარები (აქ იყვნენ ყუმუსები და ბრატუნებიცა), სულ

სამოცი ათასი კაცი, *) შევიდა საქართველოში და დადგა ბიანდრ-ში ანუ შამშადილში თბილისიდან 50—60 ვერსზედ. იმას უნდოდა თეიმურაზისგან ხარაჟა აეღო. (კონტრიბუცია).

თეიმურაზმა იცოდა ესა წინადაკე და ამის გამო იმან თავისი თავადის ესამ ჩებულაგის საშუალებით (მაჩაბელი თუ?) მიიწვია ყაზარდოელნი მთის ხალხნი და კერეთვე ოსების ბატონი ელასე ილინი(?).

1752 წ. 15 აგვისტოს წავიდა დიდი ყაზარდოლამ თეიმურაზთან ბატონი დიდი ყაზარდოსი უურგაჭა, შვილი ყარა-მურაზ-ალიევისა სუთან-გაგაძის, ბატარა ყაზარდოლამ წაიყვანა ბატარა ყაზარდოს ბატონმა ათას-სუთასი კაცი, ოსებიდამ წავიდა ზოგიერთა სოფლებიდან კომლზედ ორ-ორნი, ხაშ-სამი და ოთხ-ოთხი კაცი. ამათ აძლედა თეიმურაზ სამ თუშანს ჯამაგირს.

რაკი ეს ძალა შემოიკრიბა თეიმურაზმა, 1 სექტემბერს 1752 წელს გაეძართა მტერზედ. მტერი გაეცალა და გასწია მთისაკენ. თეიმურაზ წამოეწია, დაამარცხა, შეიჯასი კაცი მოუკლა, სამასი ტუქეთ დაიჭირა და ორმოც-და-ათი კერსდია ამ საქმეში უკლასზედ მეტი ზარალი ნახა შირვანის ჯარმა. აღა-ქიში დაიმაღლა შაჟი.

ამ გამარჯვებითაც ვერ ჩაჩრუმა მტერი თეიმურაზმა. ამის-გამო იმან 1752 წელს გაჭეზავნა რუსეთში იმპერატრიცა ელსავეტა პეტროვნასთან მიტროპოლიტი ანანასე, რომელიც იყო ამილახვრის ეპარქისა და ვახელი თავადი სვიმონ მაყაშვილი, რომ იმას დაეფარა საქართველო მტერთაგან და დაემტკიცებინა უკლას შველი საქართველოს ქვეშევრდომობაზედ, რომელნიცა ქონდათ მოწყემულნი რუსთა ხელმწიფეთაგან მის მამაზამათა, მეტადრე მის მამას ნიკოლოზ დავითას ძეს. სამაგიეროთ თეიმურაზ უშირდეობდა, რომ ნიადაგ თვისის ხალხით რუსეთის ერთგულებასა და მორჩილებებში იქნებოდა.

*) ბუტკოვს ექვსი ათასი კაცი ჰყავს მოყვანილი, მაგრამ, როგორც ვფიქრობ ციურაშია შეცდომილება, რადგან ექვსი ათასი კაციო ვერ შემო-ჰხუდავდა თეიმურაზს და არც თეიმურაზ დაუმხუბდა ამისთვის ყაზართოელებს და სხვა მთის ხალხთა. მთარგმნელი.

ანა ჩახს რითი გთავდა ეს თხოვნა. ვგონებ, რომ არ იყო შეწყნარებული, რადგან არ უნდოდათ რხმულებსა და სმარსლებსათან უსამოვნება.

1752-იან 1759 წელს შემოესია საქართველოს ავარის მარსელ ხანი და შემოერთა მჭადის ვარის ციხესა. შეეუ თეიმურაზმა დამარცხა და გარეკა ლეკები. მაგრამ ისინი გრძელდებოდნენ ღართიკარში და თარეშობას არ იშლიდნენ. შეეუ ირაკლიმ შემოუკრა იმათ გზები და მთლათ ამოწყვიტა.

ამ ხანებში საქართველოში თათრის ელები აიყვანნენ და გადასახლდნენ ერევანს. შეეუ ირაკლი ჩაუსტა იმათ ერევანს, აჭყარა და ისეკ გადმოსახლა საქართველოში. ერევანელებს ამის გულისთვის დაადო დიდი გადასახადი.

1757 წელს განდა საქართველოში დიდი შიმშილობა, ასე რომ ხალხი ბალანით იყვებოდა და ბევრი ხალხიც გადაგვიდა სსუბა ქვეყნებში.

ამ უბედურებაშიაც ლეკები არ ეშვებოდნენ საქართველოს და იკლებდნენ მოუსვენრად. იმათ აიკლეს ქართლში აღი, მემრე გაიუენენ ორათ და შემოერთენ ატოცისა და ატევის ციხეებსა.

თეიმურაზმა მოიხმო იმერეთის შეეუ სოლომონ შირველი და განდგენა ლეკები.

ეს იყო უკანასკნელი გამარჯვება თეიმურაზისა. იმისა და იმის შეიღეს ირაკლის შორის, ირაკლის პატოვის მოკვარულობის გამო ჩამოვარდა უსამოვნობა. ადგა შეეუ თეიმურაზ და 1760 წელს წავიდა რუსეთში იმპერატორისა ელისავეტა შეტროენასთან თაყვანის საცემლათ. აქედამ დაბრუნდა 1762 წელსა და გარდიცვალა გზასუდ 8 იანვარს 1762 წელსა ასტრახანში, სადაც დამარცხეს გიდეუც ისა თავის სამამრის ვახტანგ შეთვის გვერდითა. შეეუ ირაკლის დარჩა თავისუფლათ ქართლ-კახეთის მეფობა.

შეეუ ირაკლი გავდა მთელთაბელი ქართლ-კახეთისა და იყო გალი გურჯისტანისა, ესე იგი იყო სმარსეთის შაჰების ვახსლავითა ამან იმეუთა ბევრს ხანს. ამ მეფობაში თავისის ჩინებული ჭკუით, გაჟვანობით, უშიშრობით (ჩინებული დირსება აზიასი),

სიმსნეით და მით, რომ დიდათ მარჯვით სარგებლობდა სხარსეთის სსვა-და-სსვა ცვლილებებით, იმ სიძალდემდის მიადწევინა საქართველოს, რომლითაც ცნობილ იქმნა ეს ქვეყანა მეზობელ ხალხებში. ირაკლიმ დაიჭირა სრული ძალა ხელში და მოუსპო თავადებს ქართლის მმართველობაში გამტკობა და სმა და მით ვეკლა დააყენა იმ ხარისხზე, რომელიც შეტყეროდა მათს წოდებას. უმძლავრესნი თავადებში იყვნენ ქსინისა და არაგვის ერისთავები, რომელნიც თითქმის სრულნი თავისუფალნი იყვნენ ძველადვე მოწყობას, რაკი ეჭირათ დიდათ მაგარი ადგილნი ქსინისა და არაგვის ხეობაში.

შენიშვნა (ბუტკოვისა). ჩვენ უკვე ვიცით, როდის და როგორ შემოვიდნენ ფრანგების მკადგებლნი საქართველოში. 1735 წელსა, მრევლების შემოსაჯლებით, რადესაც ნადირ-შაჰმა განდევნა საქართველოდამ ოსმადნი და ბღვიარა ვეკლა სარწმუნოებთა თავისუფლება, ფრანგების მისიონერებმა ააკუს ორი ეკვლესია: ერთი თბილისს და ერთი გორს. მასინ ქათადაკოსთ იყო ანტონი, მმისწული ვასტანგ მეფისა. კათალიკოსს ანტონს უუვარდა მწიგნობრობა და ამის გამო დაუხლოვდა ფრანგების პატრებს. მეფე თეიმურაზს იჭვი შეუვიდა, რომ ანტონი გაფრანგდო და ამის გამო 1755 წელს გაჭვავინა ის რუსეთს, ფრანგების მკვდლები განდევნა საქართველოდამ და მათი ეკვლესიები გადასცა მართლმადიდებელს სასულიერო წოდებას. გაფრანგებული ქართველნი ღოდულობდნენ სახლებში.

1769 წელსა მოვიდა განჯის ხანი, შევეკარა და სთხოვა მეფე ირაკლის, რომ განთავისუფლებინა განჯა ეარაბადის ხანის ფანასკან. ირაკლიმ მიასეკლა შაკერდი ხანს ჯარი და წაართვა ფანასანს განჯა და ჩააბარა ისევ შაკერდი-ხანს. მაგრამ განჯელებმა თვითონ მოჭკლეს შაკერდი ხანი რადგან იმისგან მწუხარება, ადგათ. შაკერდი ხანის შვილები ისევ მეფე ერეკლეს შეეხიზნენ და სთხოვეს შეკლა. ირაკლიმ კიდევ გაჭვავინა თავისი ჯარი. დაამშვიდა განჯა და მისცა განჯის ხანობა შაკერდის ერთ-ერთს შვილსა. მაჰმად-ხან ხანს, რომელიც ძმებში უფროსი იყო.

ამავე ხანებში შეიქმნა სუბიექტი სუბიექტის (?) ირავლი დასამარცხა ისინი და გარეკა. ამაკი წელს ირავლი მიუხედავად ქუთუბს და სსსტკათ დასაჯა საქართველოს საზღვრების შეწესებისათვის.

ა. ფ.

პასუხი

ბ. ნ. მანოკლიძეს

«ივერიის» მე-269 №-ში დაბეჭდილია ჩემი წერილის პასუხად ბ. ნ. მანოკლიძის წერილი. ჩემი წერილის დასაწყისშივე ნათქვამი იყო «სიმართლის აღდგენა და არა ავტორის თავმოყვარეობა მაიძულებს მე ორიოდ სიტყვა ვსთქვა ამის შესახებ.» მგონია, ამ სიტყვების შემდეგ არაფერი ზრდილობა თავის გასამართლებელი წერილის დაბეჭდვა თავმოყვარეობაში ჩამომართვას ვინმემ და ისიც «უბრალო» (?) თავმოყვარეობაში, მაგრამ სამწუხაროდ ჩვენი ახალგაზრდები (ყველას არ შეეხება) ენის ქაველით ისე არიან ავად, რომ ზრდილობაც ავიწყდებათ, მართებულობაც და უქმად დროს დაკარგვაც არად უჩანთ.

თავმოყვარე რომ ვყოფილიყავ, იმ თარგმანს ჩვენზედ კარგათ ქართულის მცოდნეს არ გადავამინჯვინებდი. პასუხად ამაზედ მეტი არა მაქვს-რა სათქმელი და არცა ღირს... მთქმელს გამგონი უნდა.

ბ. ნ. მანოკლიძეს

შენიშვნა. როგორც ვერ გავიგიათ, რომ ბ. ნ. მანოკლიძეს პასუხს, ყველამ ისე «გადმოაკეთოს და გადმოაქართულოს» რუსულად ნაწერები, როგორც ზოგიერთმა «ივერიის» პატრულმუშა თანამშრომლებმა და სხვ. იციან, ესე იგი სახელები ქართული, სხვაფორმები ნამდვილი თარგმანი, პიესებისა ანუ

რუსული ჟურნალების სტატიებისა და დასაკუთრებული, „ჩემად“ აღიარებული. ამას მოგიწონებენ. ენაც კარგი იქნება და ქართულიც იქნება. აი თუნდა ბ-ნ ფრონელს და ამის ძმასა ჰკითხეთ, თუ ჩვენი არა გგვერთ.

ასათ-ამწეობი.

ვახტანგ ორბელიანს

ღიღო ჰოეტო, თაუვანსა გცემთ გემუდარებით!
შენს ძაღალს ნიჭსა ქედ-მოსრილნი მიუყსაღმებით,
შენის იმედით მტერს სარდაუცემთ. არ ვგერძალებით
თუ ხმლით ველარა, კაღმის წვერით ვთხაროთ თვალები!

ძველ მამა მამათ ისტორია შენ განგვიმტე,
მაშეღლისადმი სიუვარული ჩვენ გულს მომტე,
წარსული დიდი თამარის დრო გამოგვიხატე,
და მითი ჩვენცა სიმსწვეუ და ძალი მოგვამტე.

აწ გვედრებით ჩვეულებრივ ხელურო ჩანგი,
მითი მორეცხო მოდებული გულისა ქანგი.
ჩვენცა გვასწავლო უბადრუკთა კილო და ჰანგი,
რომ იმ სიმტყნით მოვიოსოთ დრო დანაჯარგი.

აწ მამატივე სუფუტელებით კადნიერება,
ვგრძნობ და არა მაქვს იმოდენი ნიჭიერება,
რომ ის გამოვსტქვა, რასაც გული მე მეუბნება
უწოთვნელს ჩემს კაღამს მით არ ძალუმს მის გარდმოცემა.

1889 წ. 21 ნოემბერს.

ვახტანგ ორბელიანისა